საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება

19 ნოემბერს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სხდომათა დარბაზში გაიმართა რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება. კრებაზე მოწვეული იყვნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები და წევრობის კანდიდატები, სარევიზიო კომისიის წევრები, თვალსაჩინო მეცნიერი-მედიკოსები და ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზატორები, რესპუბლიკის პარტიული კომიტეტები მდივნები, პარტკომების მდივნები პარტიის რაიკომების უფლებებით, სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეები, სამინისტროებისა და უწყებების, ჯანმრთელობის დაცვის ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელები, სამედიცინო დაწესებულებათა პირველადი პარტორგანიზაციების მდივნები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლები.

კრების მუშაობაში მონაწილეობდნენ მოკავშირე რესპუბლიკების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების სამეცნიერო-სამედიცინო საბჭოების თავმჯდომარეები, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სამეცნიერო-სამედიცინო საბჭოს პრეზიდიუმის პასუხისმგებელი მუშაკები.

აქტივის კრების მონაწილეებმა განიხილეს რესპუბლიკის მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის შემდგომი გაუმჯობესების ამოცანები სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებების, ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის მითითებების შესაბამისად.

აქტივის კრება გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა ბ. ვ. კოლბინმა.

მოხსენება გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ.

კამათში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი ბ. გ. ლეჟავა, თბილისის ორჯონიკიძის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის მკერავი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი ვ. ი. პისარევა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე თ. შ. კაბულოვა, საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ვ. ი. კაჭარავა, აფხაზეთის ასსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი ა. ე. აკუბა, სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს თბილისის ექიმთა დახელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტის რექტორი, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ს. ნ. ხეჩინაშვილი, დმანისის რაიონის მთავარი ექიმი ა. უ. ყურბანოვი, ვიშნევსკის სახელობის ქირურგიის ინსტიტუტის დირექტორი, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი მ. ი. კუზინი, საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანი ნ. ა. გუგუნავა, თელავის რაიონის სოფელ კისისხევის საექიმო ამბულატორიის გამგე მ. გ. ჩხუბიანაშვილი, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ჯანმრთელობის დაცვის სამმართველოს უფროსი გ. გ. აბესაძე, საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი ზ. ა. ლაბახუა, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი ნ. ნ. ბლოხინი, საქართველოს კომპარტიის ახალქალაქის რაიკომის პირველი მდივანი გ. ხ. შუღაროვი, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ბურდენკოს სახელობის ნეიროქირურგიის ინსტიტუტის დირექტორი, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ა. ნ. კონოვალოვი, „საქსამთოქიმმრეწვის“ საწარმოო გაერთიანების გენერალური დირექტორი ნ. შ. ცხაკაია, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი ჯ. ა. ჩარკვიანი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების სამმართველოს უფროსი ზ. გ. ლულუნიშვილი.

აქტივის კრებაზე გამოვიდა სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი ს. პ. ბურენკოვი.

პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებამ მიიღო რეზოლუცია, რომელშიც დასახულია მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის შემდგომი სრულყოფის ღონისძიებანი.

აქტივის კრებაში მონაწილეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი მ. ი. ტრუბიცინა.

(საქინფორმი).

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 222
(7533)

22
1983 წ.
ნოემბერი,
სამშაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის
1934 წლის
18 აპრილიდან

GENS UNA SUMUS

მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ნახევარფინალური მატჩები

●

იოსელიანი— სემიონოვა

მეოთხე პარტია

20 ნოემბერს დაგომისში გაიმართა ნ. იოსელიან—ლ. სემიონოვას მატჩის მეოთხე პარტია.

იოსელიანმა შავებით კვლავ სიცილიურ დაცვას მიმართა, ცენტრის დაპყრობის საინტერესო იდეა განახორციელა, მისი მხედარი დაფის შუაგულში გაბატონდა. შემდეგ პაიკის დროებითი შეწირვით ინიციატივას დაეუფლა.

21-ე სვლაზე სემიონოვამ გააჩაღა კომბინაციური თამაში, რომლის მიზანი ცენტრალიზებული მხედრის ლიკვიდაცია იყო.

შეხლა-შემოხლა რომ დასრულდა, სემიონოვას ფიგურაში ორი საშიში გამსვლელი პაიკი აღმოაჩნდა, იოსელიანს კი თეთრ მეფეზე იერიშის შესაძლებლობა, მაგრამ მან ვერ გადაუჭრა გზა თეთრების გამსვლელ პაიკებს. ფიგურაც უკან დააბრუნა, მაგრამ ამაოდ. პარტია გადაიდო ამ მდგომარეობაში.



41-ე სვლა სემიონოვამ ჩაიწერა **გუშინ** იოსელიანმა პარტია დათმო, რადგან შემდგომ წინააღმდეგობას აზრი არ ჰქონდა.

გთავაზობთ ამ პარტიას.

სემიონოვა — იოსელიანი

სიცილიური დაცვა

1. e4 c5 2. მf3 d6 3. d4 c×d4 4. მ×d4 მf6 5. მc3 a6 6. კg5 e6 7. f4 კe7 8. ლf3 ლc7 9. 0–0–0 მbd7 10. ეe1 h6 11. კh4 g5 12. f×g5 მe5 13. ლd1 მfg4 14. h3 f×g5 15. კg3 მf6 16. კe2 კd7 17. მf3 0–0–0 18. მ×g5 მh5 19. კh4 მf4 20. g3 მg2 21. მ×f7 კ×h4 22. მ×e5 კg5+ 23. მფb1 d×e5 24. ეeg1 მe3 25. ლe1 მc4 26. კ×c4 ლ×c4 27. b4 კe7 28. g4 კc6 29. g5 ეd4 30. b3 ლb4 31. g6 კf6 32. ეf1 ლe7 33. h5 ლg7 34. ლg3 კ×e4 35. მ×e4 ე×e4 36. h6 ე×h6 37. ე×h6 ლ×h6 38. ე×f6 ეe3 39. ლf2 ლh1+ 40. მფb2 ლe4. პარტია გადაიდო.

დღეს დიდოსტატმა ქალებმა მეხუთე პარტია უნდა გაითამაშონ. ანგარიშია 2:2.

ალექსანდრია— ლევიტინა

მეოთხე პარტია

გუშინწინ დუბნაში მეოთხე პარტია გაითამაშეს ნ. ალექსანდრიამ და ი. ლევიტინამ. მეორე პარტიის მსგავსად, მათ ინგლისური დასაწყისი აირჩიეს. მე-9 სვლაზე ალექსანდრიამ უხეში შეცდომა დაუშვა და იძულებული გახდა ეტლსა და პაიკში ორი მხედარი დაეთმო. მატერიალურმა უპირატესობამ ლევიტინას მოგების რეალური შანსი მისცა, მაგრამ შეუპოვარ წინააღმდეგობას წააწყდა ალექსანდრიას მხრიდან, ქართველმა დიდოსტატმა ცენტრი გაამაგრა და აქტიურად თამაშობდა ლაზიერის ფრთაზე. ორივე მეტოქემ დიდი ენერგია შეალია ბრძოლას. მხედრების გადაჯგუფებით ლევიტინამ შეინარჩუნა უპირატესობა და პარტია ასეთ პერსპექტიულ პოზიციაში გადაიდო:



ამ მდგომარეობაში ლევიტინამ (თეთრები) ჩაიწერა თავისი 41-ე სვლა.

აი, მეოთხე პარტია:

ლევიტინა — ალექსანდრია

ინგლისური დასაწყისი

1. მf3 მf6 2. c4 b6 3. g3 c5 4. კg2 კb7 5. მc3 g6 6. d3 კg7 7. e4 მc6 8. 0—0 0—0 9. მh4 მd4 10. e5 კ×g2 11. e×f6 კ×f1 12. f×g7 მფ×g7 13. მფ×f1 f6 14. კe3 a6 15. ლd2 მფh8 16. კ×d4 c×d4 17. მe2 e5 18. ლh6 მფg8 19. ეe1 ეf7 20. მf3 b5 21. b3 b×c4 22. b×c4 ეb8 23. ლc1 ლa5 24. ლc2 d6 25. ეb1 ეfb7 26. ეb3 მფg7 27. მd2 ეb4 28. ლb2 ლa4 29. მc1 a5 30. მფe2 ე8b7 31. მe4 ლd7 32. ლa3 f5 33. მd2 ე×b3 34. a×b3 ლc7 35. ლa4 მფf7 36. მa2 ლc5 37. მc1 g5 38. f3 h5 39. h3 მფe7 40. მფd1 ეb8. პარტია გადაიდო.

გუშინ, 21 ნოემბერს მეტოქეებმა თამაში განაახლეს. ლენინგრადელმა დიდოსტატმა შეძლო უპირატესობის შენარჩუნება, მაგრამ ალექსანდრიამ მაქსიმალურად გამოიყენა ყაიმის მიღწევის შესაძლებლობა, მან შესამჩნევად შებოჭა თეთრი მეფისა და მხედრების მოძრაობა. ლაზიერების გაცვლის შემდეგ ლევიტინა დიდხანს ეძებდა მოგების გზას, მაგრამ ამაოდ. 84-ე სვლაზე მეტოქენი დაზავდნენ.

ამრიგად, კვლავ წინაა ლევიტინა — 2,5:1,5.

დღეს, 22 ნოემბერს, დანიშნულია მეხუთე პარტია, რომელშიც თეთრებით ალექსანდრიამ უნდა ითამაშოს.

მაჩებმაც დაიწყეს

კვირას, 20 ნოემბერს ლონდონის სასტუმრო „გრეიტ ისტერნში“ საზეიმოდ გაიხსნა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტ ვაჟთა გ. კასპაროვ-ვ. კორჩნოისა და ვ. სმისლოვ-ზ. რიბლის ნახევარფინალური მატჩები.

გახსნის ცერემონიალის დასასრულს მატჩების მთავარმა მსაჯებმა დიდოსტატმა ს. გლიგორიჩმა (იუგოსლავია) და საერთაშორისო ოსტატმა ა. მედინამ (ესპანეთი) კენჭისყრა ჩაატარეს. პირველ და მომდევნო ყველა კენტ პარტიაში თეთრებით ითამაშებენ სმისლოვი და კასპაროვი.

გუშინ შედგა კასპაროვისა და კორჩნოის პირველი პარტია. იგი გვიან ღამით დამთავრდა. სმისლოვისა და რიბლის პირველი შეხვედრა გაიმართება დღეს, 22 ნოემბერს.

სსრ კავშირის
პირველობა
ქალთა შორის

●

გურიელის სამი მოგება

შაბათ-კვირას ვილნიუსში, სსრ კავშირის ქალთა 43-ე ჩემპიონატზე III ტური და გადადებული პარტიების დამთავრება შედგა.

III ტურში ნ. გაფრინდაშვილი დამარცხდა ლ. მუჩნიკთან, ნ. გურიელმა სძლია ს. მატვეევას (ფრუნზე), ლ. ზაიცევამ (მოსკოვი) — ნ. რუჩიევას (სევასტოპოლი). დაზავდნენ კ. ბაგინსკაიტე (ვილნიუსი) და ტ. ფომინა (ტალინი).

გადადებული პარტიების დამთავრებისას ე. ახმილოვსკაიამ (ბიჭვინთა) მოუგო ც. კახაბრიშვილს, გურიელმა — ი. ერუსლანოვას (მოსკოვი) და ბაგინსკაიტეს, მ. ლიტინსკაიამ (ლვოვი) — ტ. ზატულოვსკაიასა (მოსკოვი) და ბაგინსკაიტეს, 14 წლის მატვეევამ დაამარცხა ლიტინსკაია. თ. ხუგაშვილმა ფარ-ხმალი დააყრევინა მუჩნიკსა და ო. პედკოს (ჩელიაბინსკი).

3 ტურის შემდეგ ლიდერობენ ნ. გურიელი — 3 ქულა, ვ. ახმილოვსკაია — 2,5, ნ. გაფრინდაშვილი, თ. ხუგაშვილი და მ. ლიტინსკაია — 2-2.

ბაქოს საერთაშორისო

18 წლის ინგლისელმა ოსტატმა ნაიჯელ შორტმა პირველობა მოიპოვა აზერბაიჯანის დედაქალაქში დამთავრებულ საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირში. გამარჯვებულმა 13-ვე პარტია დაუმარცხებლად განვლო და 9 ქულა მოაგროვა.

8-8 ქულით II-III ადგილები გაიყვეს ბაქოელმა ა. ჰუსეინოვმა და სევასტოპოლელმა ვ. მალანიუკმა. 7,5-7,5 ქულა დააგროვეს მ. ტაიმანოვმა (ლენინგრადი), ვ. ბაგიროვმა (რიგა) და ა. მიხალჩიშინმა (ლვოვი).

(საკდესი).

საბჭოთა ალპინიზმის 60 წლისთავისადმი

●

მოვლენათა ქრონიკა

1963-1973 წლები

დედამიწის უმაღლეს მწვერვალზე — ჯომოლუნგმაზე პირველი წარმატებული ექსპედიციის ხელმძღვანელმა, სახელგანთქმულმა ინგლისელმა მთამსვლელმა ჯონ ჰანტმა კავკასიონს „პატარა ჰიმალაი“ უწოდა. კავკასიონის მწვერვალებით აღფრთოვანებული იყვნენ სხვა უცხოელი მთამსვლელებიც, რომელთა სტუმრობა განსაკუთრებით გახშირდა 50-იანი წლების დამლევს და 60-იანი წლების დამდეგს.

მათთვის აღმოჩენა იყო არა მარტო კავკასიონი, არამედ საბჭოთა მთამსვლელების მაღალი ოსტატობაც, რომელთაგან ბევრი რამის სწავლა შეიძლებოდა.

1963 წელს საბჭოთა ალპინიზმის 40 წლისთავი აღინიშნა, ამ თარიღს მიეძღვნა საქართველოს მთამსვლელთა საიუბილეო ლაშქრობა მყინვარწვერზე. სხვებთან ერთად მწვერვალზე ფეხი შედგეს პირველი საბჭოური ასვლის მონაწილეებმა მარიამ ტყავაძემ და ასმათ ნიკოლაიშვილმა. საიუბილეო წელი დამთავრდა პლენუმით, სადაც აღინიშნა საბჭოთა ალპინიზმის მიღწევები.

მართლაც, განვლილი 40 წელი ფრიად ნაყოფიერი აღმოჩნდა საბჭოთა მთამსვლელებისთვის, რომელთა ლიდერის „ყვითელ მაისურს“, შეიძლება ითქვას, საქართველოს ალპინისტები ატარებდნენ. მათ 40 წლის მანძილზე არაერთი საეტაპო ასვლა განახორციელეს და ბრწყინვალე ფურცლები ჩაწერეს საბჭოთა ალპინიზმის ისტორიაში.

მათს, და არა მარტო მათს, წარმატებებს ფრიად შეუწყო ხელი ზემო სვანეთის მთამსვლელთა ბანაკმა „ნაკრამ“, რომელმაც მრავალი ალპინიზმის ინსტრუქტორი და მაღალი კვალიფიკაციის სპორტსმენი აღზარდა.

სამწუხაროდ, ბანაკი 1959 წელს გაუქმდა, მის დახურვას არ შეიძლებოდა უარყოფითი შედეგები არ მოჰყოლოდა. მთამსვლელთა მეორე ბანაკი „[illegible]“, რომელიც ლენტეხის რაიონში 1965 წელს გაიხსნა, ბუნებრივია, ერთი ხელის დაკვრით, ვერ აღზრდიდა ალპინისტებს.

და მაინც, საბჭოთა ალპინიზმის მეხუთე ათწლეული მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ჩვენი მთამსვლელებისთვის. ეს ათწლეული განსაკუთრებით იმითაა აღსანიშ-

(დასასრული მე-4 გვ.).

შეგვწევს, შეგვიძლია, ვალდებულიც ვართ...

სპარტაკიადა დამთავრდა, სპარტაკიადა გრძელდება

— **ირინას** გაუმარჯოს! — ქუხდა აღმოსავლეთ ტრიბუნა. ეს ჩვენი დელეგაციის წევრები მიესალმებიან ირინა გერასიმოვას. იგი კი დგას ოდნავ დარცხვენილი, როგორღაც მოკრძალებულიც, მაგრამ შინაგანად ზამბარასავით დაჭიმული. ერთი კი მოახერხა, ჩვენკენ შემობრუნდა, ხელი დაგვიქნია, გაგვიღიმა, თითქოს გვანიშნა: ნუ გეშინიათ, მესამე „ოქროც“ ჩვენი იქნებაო.

რამდენ ხანს ცურავდა არ ვიცი, ალბათ უსასრულოდ. ყოველ შემთხვევაში, მე ასე მომეჩვენა.

ჩვენი მაშინდელი განცდების არც აღწერა შეიძლება, არც გადმოცემა.

ბარაქალა შენს ქალობას, ირინა! სამჯერ იდექი კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე, სამჯერ აღიმართა საქართველოს დროშა, სამჯერ აჟღერდა ჩვენი რესპუბლიკის ჰიმნი.

სულ ცოტა ხნის წინათ კი 4 „ოქრო“ სტუდენტთა მსოფლიო უნივერსიადაზე მოიპოვე. 7 „ოქრო“ ერთ თვეში!..

— ირინას გაუმარჯოს! —დღესაც მესმის ტრიბუნების გუგუნი. ქეთევანს გაუმარჯოს, საიდას, მალხაზს, შოთას, ნონას, მაიას, ნანას, ავთანდილს, ყველას გაუმარჯოს, ვინც თავი ისახელა, ჩვენც გვასახელა და ნანატრი გამარჯვება მოგვიტანა.

და მაინც რას ნიშნავს გამარჯვება, რომელსაც ზღვა სიხარული მოაქვს? ვინ გვეტყვის, რას იწონის ერთი მედალი, ვინ აგვიწერს გამარჯვების სიხარულს?

გამარჯვებაა, როდესაც მიაღწევ მიზანს, რომლისკენაც წლების განმავლობაში ან შეიძლება მთელი ცხოვრებაც ისწრაფვი. გამარჯვებაა, როდესაც შენს შესაძლებლობათა ზღვარზე და კიდევ ზევით აკეთებ თითქოსდა შეუძლებელს.

გამარჯვება სწრაფვაა ადამიანის ფიზიკური და სულიერი სრულყოფისაკენ, ნიჭისა და გონების [illegible] და კიდევ სხვა რაღაც ამოუცნობისკენ.

გამარჯვება საკუთარ თავზე, ღირსეულ მეტოქეზე, გამარჯვება რაინდულ და ვაჟკაცურ ბრძოლაში.

გამარჯვება სპორტში მარტო ოქროს მედალი და პირველი ადგილი როდია, არც თვითმიზანია, მაგრამ ხომ არის რაღაც ფრიად აუცილებელი ადამიანისთვის, მისი ფიზიკური და სულიერი სრულყოფისა და, თუ გნებავთ, თვითდამკვიდრებისათვის რომაა საჭირო. იყო პირველი, განა მარტო იმას ნიშნავს, რომ ყველაზე მაღლა გადახტე ან ყველაზე სწრაფად გაიქცე? განა პირველი არ იყო გაგარინი, კოსმოსში რომ აიჭრა?

ვიღაცამ ანბანი გამოიგონა, ვიღაცამ პირველი წიგნი გამოსცა, ვიღაცამ პირველმა გაჩერებული გული აამუშავა, პირველმა გაბურღა ნავთობის საბადო, პირველმა დაიპყრო უმაღლესი მწვერვალი. განა ყოველივე ეს შენი, ჩემი, ყველას გამარჯვება არ არის?

სპორტული გმირობა! აბა სხვა რა ვუწოდოთ იმ უდიდეს თავგანწირვას, არაადამიანურ შრომას, დღეში სამჯერად ვარჯიშს, სპარტანულ ცხოვრებას, ყოველივე მიწიერის უარყოფას, ახლობლებისგან თვეობით მოწყვეტას, უდიდეს ფიზიკურ და ფსიქიკურ დატვირთვას, კილოგრამობით დაღვრილ სისხლნარევ ოფლს და დასახული მიზნისაკენ უდიდეს სწრაფვას.

სპორტული გმირობა ეს უცბად აფეთქებული იმპულსი როდია, როდესაც ადამიანს შეუძლია აბობოქრებულ მდინარეში გადაეშვას ან ცეცხლმოკიდებულ სახლში შევარდეს. სპორტული გმირობა წინასწარ გამიზნული თავგანწირვაა, რომელიც ყოველთვის როდი მთავრდება მშვიდობიანად.

მერედა, ვის სჭირდება ყოველივე ეს? — იტყვის მავანი ცინიკოსი. სჭირდება შენ, მე და, საერთოდ, ადამიანებს.

სპორტული გმირობა და თავდადება რომ შეაფასო, ყოველივე საკუთარი თვალით უნდა ნახო, გულთან ახლოს მიიტანო და ღრმად აღიქვა, თორემ ტრიბუნიდან მხოლოდ შედეგს ხედავ, წამის ერთ [illegible], მოჩვენებით სიმსუბუქეს, თითქოს სიმარტივესაც (გარბის, ხტება), მაგრამ განა ყველამ იცის ერთი მოხდენილი ფანდის დამუშავებას ან წამის მეასედით სწრაფად გარბენას რამდენი შრომა და ოფლის ღვრა სჭირდება?

დღეს სპორტში იმარჯვებს მხოლოდ თავდაუზოგავი, ღრმად გააზრებული შრომა და სპორტისადმი ფანატიკური ერთგულება. სპორტმა უკუაგდო ყოველგვარი წარმოდგენა ადამიანის შესაძლებლობათა ზღვარზე. ან კი არსებობს ასეთი ზღვარი?

აბა წარმოიდგინეთ: ტყვიის მსროლელმა 600 შესაძლებლიდან 597 ქულა დააგროვოს, ე. ი. 60 გასროლიდან 57-ჯერ ათიანში მოახვედროს, მხოლოდ 3-ჯერ — ცხრიანში და გუნდს ჩათვლაც ვერ მისცეს (!). კიდევ მეტი: 600 შესაძლებლიდან 600 ქულა დააგროვოს (60 ათიანი) და მხოლოდ ბრინჯაოს მედალი შეხვდეს (!).

იყო ასეთი შემთხვევები ხალხთა VIII სპარტაკიადაზე.

ნამდვილი გმირია ქეთევან ლოსაბერიძე, წლების განმავლობაში უვარჯიშებელი ჩვილბავშვიანი დედა, გუნდის ინტერესებისათვის სარბიელზე რომ გამოდის (განა ასე არ იბრძოდა შორეულ წარსულში ქართველი დედა?), მსოფლიოს უძლიერეს სპორტსმენებთან ჭიდილში საერთო მეოთხე ადგილს იკავებს და რესპუბლიკის ყულაბაში ქულათა საკმაო მარაგი შეაქვს.

განა გმირობა არ ჩაიდინა საიდა გუნბამ, რომელიც მშობიარობის შემდეგ თითქმის უვარჯიშებელი გამოვიდა და ვერცხლის მედალიც მოიპოვა?

სპორტული გმირობაა ჩვენი სახელოვანი ჩოგბურთელის ალექსანდრე მეტრეველის დიდ სარბიელზე კვლავ გამოსვლა. ასევე მოიქცა 38 წლის უბერებელი მაგიდის ჩოგბურთელი ს. სარხოიანი, რომელმაც სასპარტაკიადო „ვერცხლი“ მოიპოვა.

ტრეკზე გუნდურ ველორბოლაში ჩვენი სპორტსმენები არასოდეს ბრწყინავდნენ. შეჯიბრების წინ ჩვენმა წამყვანმა სპორტსმენმა მძიმე ტრავმა მიიღო. მწვრთნელები იძულებული გახდნენ 4-კაციან გუნდში ორი ახალბედა დაეყენებინათ. როდესაც დისტანციის დამთავრებას 4 წრე აკლდა, გუნდის ლიდერს და კაპიტანს პეტრე ჩხვაროვს ვირაჟზე გასვლისას საბურავი გაუსკდა და დაშავდა. ასეთ შემთხვევაში, როგორც წესი, გუნდი ეთიშება შეჯიბრებას, მაგრამ ჩვენი სამეული ი. ზიმენკოვის, ა. მიკუჩაძისა და გ. გოდუნოვის შემადგენლობით რბოლას აგრძელებს, უკან იტოვებს ლიტვის, ყაზახეთის, მოსკოვის, უკრაინის ძლიერ გუნდებს და საქართველოს ველოსპორტის ისტორიაში პირველად მეხუთე ადგილს იკავებს, თანაც საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივს ასრულებს.

ზუსტად ნახევარი საათის შემდეგ იგივე გუნდი ტრავმირებული პ. ჩხვაროვის ხელმძღვანელობით აუმჯობესებს შედეგს და ფინალში გასასვლელად ბელორუსიის უძლიერეს გუნდთან მხოლოდ 0,64 წამს აგებს (!). განა ეს არ არის ვეტერანის პირადი მაგალითი და სპორტული გმირობა?

უდიდეს ქებას იმსახურებს ძიუდოისტი მალხაზ ბერუაშვილი, რომელსაც მხოლოდ ერთი შეხვედრის მოგებას თხოვდნენ (ჩვენი გუნდი ჩემპიონი ხდებოდა), მან კი ყველაზე ტიტულოვან ფალავნებს გვერდები დაულეწა (ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით) და აბსოლუტურ წონით კატეგორიაში ოქროს მედალი მოიპოვა.

განა გმირობა არ იყო ჩვენი მოჭადრაკეების მიერ მოპოვებული მეორე ადგილი? განა ქებას არ იმსახურებენ ჩვენი ცხენოსნები?

როგორ არ გავიხსენოთ ნორჩი ნანა ქარდავა, ერთთავად თოჯინით ხელში რომ დადიოდა და წყალში ხტომაში მეორე შედეგისთვის ვერცხლის მედლითა და ზუსტად მისი ტოლა თოჯინით რომ დააჯილდოვეს?

გულით მინდა დავასახელო ყველა, ვინც გაიმარჯვა (მათზე ბევრი დაიწერა) და ისინიც, ვინც დამარცხდა, მაგრამ თავისი თავდადებული ბრძოლით, შეუპოვრობითა და გამარჯვებისადმი უდიდესი სწრაფვით არანაკლებ ქებას დაიმსახურა.

ერთი სიტყვით, იყო ბრძოლა შეუპოვარი, უშეღავათო. სადღაც ვიღაცას ნერვებმა უმტყუნა, ვიღაცას მხოლოდ ქულა დააკლდა, ვიღაცას წამის მეასედი, ვიღაც სტარტზევე „დაიწვა“, ვიღაცას ცხენმა „უღალატა“ (თუ პირიქით) და ა. შ. ჩვენ კარგად გვესმის სპორტის ყველა ნიუანსი, შემთხვევითობა, სპორტული ბედი, ფატალური დამთხვევა, გათვალისწინებული და გაუთვალისწინებელი კანონზომიერება თუ სხვა მოულოდნელობა, მაგრამ... ჩვენს მესტენდურეებს ერთი თეფშით მეტი რომ გაეტეხათ, ჩემპიონები ხდებოდნენ. შეეძლოთ კი ამის გაკეთება? რა თქმა უნდა. უფრო მეტიც: იმ შემადგენლობით მათ უფლება არ ჰქონდათ ოქროს მედლები არ მოეპოვებინათ.

არ ვიყავი მზად, — იტყვის საქვეყნოდ ცნობილი მოჭიდავე. ჩემივე წონა ვერ დავძლიეო, — იტყვის ძალოსანი, ერთი წამი დამაკლდა, ერთმა ქულამ დამღუპა, სიცხე მქონდა, ვერ მოვემზადე და ა. შ. არ იყავი მზად? ვერ მოემზადე? როგორ, რატომ? მერედა, ვინ მოგცა ამის უფლება, განა შენ, როგორც სპორტსმენს, სხვა რამ კიდევ გევალებოდა? რატომ უგულებელყავი ერის, რესპუბლიკის ინტერესები? ნუ გეწყინება (თუ გეწყინება, მით უკეთესი) და შენ არა ხარ ნამდვილი სპორტსმენი...

თავს ვიკლავდით, გულმოდგინედ ვემზადებოდით, ყველაფერი ვიღონეთ, მაგრამ... იტყვიან მძლეოსნები, ნიჩბოსნები, მოკრივეები, ფრენბურთელები, ფეხბურთელები და სხვა სახეობათა წარმომადგენლები.

ჩვენ კარგად გვესმის: სპორტში ყველაფერი შეიძლება მოხდეს, მაგრამ შენ, როგორც მწვრთნელს, არაფერი გამართლებს. აბა სხვა რა გევალება, თუ არა ის, რომ სპორტსმენი (გუნდი) სწორედ იმ მომენტში მიიყვანო შესაბამის კონდიციამდე, როცა ეს ყველაზე მეტადაა საჭირო და თუ მანამდე „დაგეწვა“ ან შემდეგ აღზევდა, ვის რაში არგია.

ერის პრესტიჟის მოწინავე ხაზი მოგანდეთ, შენ კი... „გადავიწვაო“. არ ვიცი რა მოხდაო, შემთხვევითი ბრალიაო, დაგვჩაგრესო, ბედმა გვიმტყუნაო და სხვა ასეთები, ყველას და ყველაფერს ადანაშაულებ, იგონებ ათას მიზეზს, რომლის სიმართლისა თავადაც არ გჯერა.

გეგონა, მოკრივეები გვყავდა, რინგზე კი ყოვლად მოუმზადებელი და უნებისყოფო გუნდი ვიხილეთ.

მძლეოსნობაში, ნიჩბოსნობასა და ცურვაში სხვებმა ათასობით ქულა დააგროვეს, ჩვენ კი — თითებზე დასათვლელი.

ნუთუ არ გესმის, ნუთუ ჯერ კიდევ ვერ შეიგნე, რომ მე-13—მე-14 ადგილის დაკავებას არც შენ ჭირდები, არც მე, არც საერთოდ სპორტული ორგანიზაცია.

წაგებისთვის არავინ დაგძრახავს, არც ვაპირებთ, მაგრამ თუ ნამდვილი სპორტსმენი ხარ, უნდა იბრძოლო ბოლომდე ვაჟკაცურად. თუ წააგე, წააგე კაცურად. თუ წაქცეული ადგები და ახალი ბრძოლისათვის ეწყობი, ესეც ვაჟკაცობაა. ჩვენს ძიუდოისტებს სხვა რომ არაფერი გაეკეთებინათ, მარტო იმისათვის დავაფასებდი, რომ სპარტაკიადაზე პასიური ჭიდაობისთვის არც ერთი გაფრთხილება არ მიუღიათ.

საკუთარი თვალითაც გვინახავს და გულიც ბევრჯერ დაგვწყვეტია მსაჯების არაობიექტურობისა თუ არაკომპეტენტურობის გამო. უჟგოროდელი მსაჯის ა. ტიმეტიევის სინდისზე იყოს ქართველ ფეხბურთელთა მიერ გატანილი 2 ბურთი და ერთი თერთმეტმეტრიანი (თუმცა, სხვა უნებისყოფო თამაშებს მსაჯებს ნუ დავაბრალებთ).

ვიღაცას ქულა დააკლეს, ვიღაცას ბურთი არ ჩაუთვალეს, ვიღაც უდანაშაულოდ დასაჯეს და ა. შ. რა თქმა უნდა, ასეთ პირობებში ძალზე ძნელია ასპარეზობა, გვჯერა დადგება დრო და ყოველივე ეს აღარ გამეორდება, აღარ იქნება სხვა გაუგებრობებიც, სპორტსმენებისა და მთელი გუნდების მოძმე რესპუბლიკებში წინასასპარტაკიადო გადაფრენები, ქულებზე (ისევ ქულები!) აშკარა ნადირობა, შეჯიბრებათა დებულების ცალკეულ დაინტერესებულ პირთა სასარგებლოდ „გამოშიგნვა“. თუნდაც ის, რომ ჩვენ უძლიერესი მოჭადრაკე ქალები გვყავს, დებულებით კი მხოლოდ 2 ქალი და 7 მოჭადრაკე ვაჟი იყო დაშვებული (!).

სპორტის ცალკეულ სახეობებზე ქულათა გაუმართლებელი დანაწილება, სპორტის სახეობათა აუცილებელ და ამორჩევით ჯგუფებად ფორმალური დაყოფა, სხვა მრავალ გაუგებრობათა შორის ყველაზე დიდი გაუგებრობა ე. წ. პარალელური ჩათვლების მოგონება, როდესაც, მაგალითისათვის, მოსკოველი სპორტსმენი პარალელურ ჩათვლას აძლევს ყაზახეთს, რომელიც თვალით არ უნახავს. სხვათა შორის, ი. გერასიმოვას მიერ მოპოვებული ყველა ქულა უკლებლივ ბელორუსიასაც ჩაეთვალა (?).

გვჯერა, რომ ყოველივე ზემოთქმულს ბოლო მოეღება, თორემ სპარტაკიადა თავისი მაღალი იდეალებითა და დიდი მიზნებით კარგავს თავის მნიშვნელობას.

ყოველივე ზემოთქმულის მიუხედავად მიგვაჩნია, რომ ჩვენი ყველაზე დიდი მტერი მაინც ჩვენვე ვართ. ზედმეტი თვითდაჯერება და სხვების დაჯერება, იოლად ფონს გასვლისა და სასწაულის მოლოდინი, იქნებ გამამართლოს და ვინ მოთვლის კიდევ რამდენი სხვა ნიუანსი, რომელთა შესახებ ჩვენზე უკეთ არავინ იცის...

— წავიდა ის დრო, როცა სპორტში სასწაულები ხდებოდა. ვიმეორებთ: დღეს იმარჯვებს ის, ვინც შრომობს, უმართლებს მას, ვინც ისევ და ისევ ბევრს შრომობს, სპორტის ერთგულია და ვისაც გული კაცურად უძგერს.

მე შორს ვარ სურვილისგან, ვინმეს ჭკუა ვასწავლო, მაგრამ, მოდით, ჩვენს გულში ჩავიხედოთ და გულწრფელად ვთქვათ:

რატომ დაგვჭირდა სპარტაკიადის წინ სპორტიდან კარგა ხნის წასული ვეტერანების „ტოტალური მობილიზაცია“, რატომ დაგვჭირდა ახლად ნამშობიარევი და ფეხმძიმე ქალების გამოყვანა, განა ეს ჩემი და შენი ყველაზე დიდი სირცხვილი და თავის მოჭრა არ არის? იქნებ იმიტომ, რომ მათი ადგილის შევსებაზე მე და შენ უნდა გვეზრუნა? მათ კი სიცარიელე დახვდათ და იძულებული გახდნენ ეს სიცარიელე შეევსოთ?

შენ კი მკერდზე ხელს იბაგუნებ და გვიმტკიცებ: ის საბედისწერო ერთი ქულა რომ არა, ის ერთი თეფში, წამის მეასედი, ერთი ბურთი და სხვა ასეთები რომ არა, მაშინ.... სწორედ აქ არის ჩემი და შენი უბედურება, რომ გუნდებს ზუსტად იმდენი დავაკელით, რაც იმ ერთ ქულასა და ერთ წამს სჭირდებოდა, ვერ მოვემზადეთ, ვერ განვჭვრიტეთ, არ გვეყო პროფესიული ცოდნა და ალღო. ჩვენი მუშაობის მთელი სიბრძნე და, თუ გნებავთ, პროფესიული პრესტიჟიც სწორედ იმ ერთის განსაზღვრაში, სრულყოფასა და წინასწარ განჭვრეტაშია.

ჩვენ კი დღევანდელ კვერცხს ვამჯობინებთ, მხოლოდ დღევანდელი შედეგი, დღევანდელი მიღწევა რადაც არ უნდა დაგვიჯდეს და რის ხარჯზეც უნდა მოხდეს.

არა და არა! მხოლოდ ზეგანდელზე ფიქრი, ხვალინდელი დღით ცხოვრება. მაგრამ მარტო ფიქრი და ოცნება რას მოგვცემს, თუ ხელიც არ გავანძრიეთ. სპორტის მთელ რიგ სახეობებში აუთვისებელი ყამირი გვაქვს, ზოგან პირველს და მომდევნოს შორის ამოუვსები ვაკუუმია და მაინც ჩვენი უპირველესი ამოცანაა ძიება და შრომა, მხოლოდ შრომა შემოქმედებითი და წინ გამიზნული, უდიდესი პასუხისმგებლობა, სპორტის უსაზღვრო სიყვარული და ერთგულება. შეიძლება კიდევ ერთხელ ვაწყენინეთ ზოგიერთებს, მაგრამ დღეს სხვაგვარად არ შეიძლება.

დარწმუნებული რომ არ ვიყოთ ჩვენს შესაძლებლობებში, პოტენციაში, ნიჭსა და უნარში, მაშინ არაფერს ვიტყოდით, მაგრამ ღრმად გვჯერა, გვწამს, რომ შეგვწევს უნარი ნებისმიერ მეტოქესთან შეჭიდების და მისი დამარცხებისა.

დღეს ბევრს ლაპარაკობენ ლიტვის რესპუბლიკაზე. მართლაც, ლიტველებმა დიდ წარმატებას მიაღწიეს სპორტის ცალკეულ სახეობებში, ხოლო სპარტაკიადის საერთო გუნდურ ჩათვლაში მეათე ადგილიდან მერვეზე გადაინაცვლეს.

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ზოგიერთი ცნობა:

VII სპარტაკიადაზე ლიტვას მოუგიათ ყველა მაჩვენებლით: მოსწავლეთა სპარტაკიადა, ახალგაზრდული თამაშები, მოზრდილთა სპარტაკიადა.

VIII სპარტაკიადაზე ლიტვამ მოგვიგო ყველა მაჩვენებლით.

VII სპარტაკიადასთან შედარებით VIII სპარტაკიადაზე ლიტვამ 11 სახეობაში გააუარესა და 17-ში გააუმჯობესა შედეგი.

ჩვენ შესაბამისად 11 სახეობაში გავაუარესეთ შედეგი და 19-ში გავაუმჯობესეთ.

VIII სპარტაკიადაზე ლიტვამ მოგვიგო 11 სახეობა, ჩვენც ლიტვას ასევე 11 სახეობა მოვუგეთ.

სპორტის 36 სახეობიდან ლიტვამ შეფასება მიიღო მხოლოდ 26 სახეობაში (ე. ი. 10 სახეობაში „0“ შეფასება ჰქონდა), ჩვენ შესაბამისად 31 სახეობაში დავიმსახურეთ შეფასება.

ლიტვამ საერთო ჯამში 19 მედალი მოიპოვა, ჩვენ — 31.

როგორც ზემოთმოყვანილიდან ჩანს, ლიტვას ვჯობნით თითქმის ყველა მაჩვენებლით, მაგრამ თუ ამ მონაცემებს ქულებში გადავიყვანთ, მდგომარეობა მკვეთრად შეიცვლება ლიტველთა სასარგებლოდ.

ლიტვამ გვაჯობა ე. წ. სტრატეგიულ (ქულების დაგროვების თვალსაზრისით) სახეობებში, როგორიცაა ნიჩბოსნობა, მძლეოსნობა, ცურვა, სადაც 1638 ქულა დააგროვა, ჩვენ კი შესაბამისად — მხოლოდ 182.

მაინც რა მოხდა ლიტვაში? ისეთი არაფერი, მათ ჩვენზე უკეთ გაიგეს, გაანალიზეს კომპლექსური შეჯიბრებების სტრატეგია და ტაქტიკა და შესაბამისად აქცენტი გააკეთეს ძირითადად სპორტის 14-15 სახეობის განვითარებაზე (ისევ და ისევ ქულების „მოსავლის“ თვალსაზრისით) და სასურველ შედეგსაც მიაღწიეს, თუმცა, არც ასეთი მიდგომა უნდა ჩავთვალოთ სავსებით სწორად და არც სპარტაკიადის დებულება, რომელიც ამის საშუალებას იძლევა.

ამავე დროს, ლიტველებმა ვერ შეძლეს ამოწევა სპორტის ისეთი კლასიკური სახეობებისა, როგორიცაა სპორტული ტანვარჯიში, წყალში ხტომა, თავისუფალი ჭიდაობა და ფარიკაობა, სადაც „0“ შეფასება ჰქონდათ როგორც VII, ასევე VIII სპარტაკიადაზე (!). მსგავსი მაგალითები ჩვენ არ გვქონია, კიდევ მეტი, ლიტველებს სპორტის მთელ რიგ ძირითად სახეობებში (კრივი, ჭიდაობა, წყალბურთი, ხუთჭიდი, მშვილდოსნობა, ჩოგბურთი, ჭადრაკი, სასტენდო სროლა და სხვ.) წლიდან წლამდე სერიოზული ჩავარდნები აქვთ.

ლიტვისა და ჩვენი კონკურენტი სხვა რესპუბლიკების VIII სპარტაკიადაზე ნაჩვენები შედეგების ანალიზი იმის საფუძველს გვაძლევს, რომ ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე ვთქვათ: ჩვენ შეგვწევს უნარი სპარტაკიადების საერთო გუნდურ ჩათვლაში VI-VII ადგილებისთვის რეალურად ვიბრძოლოთ.

ამის გარანტიაა ჩვენი მაღალი შედეგები სპორტის მთელ რიგ სახეობებში, VIII სპარტაკიადაზე მოპოვებული 31 მედალი. ამის გარანტიაა ამჟამად სპორტში შექმნილი პირუთვნელობის, პრინციპულობისა და შეურიგებლობის ატმოსფერო, ჩვენი პარტიისა და მთავრობის უდიდესი მხარდაჭერა. ამის გარანტიაა ჩვენი ხალხისა და ფართო საზოგადოების უდიდესი მორალური და მატერიალური თანადგომა და, რაც ყველაზე მთავარია, მომავლის რწმენა. საჭიროა თითოეულმა ჩვენგანმა გულის სიღრმემდე ირწმუნოს, შესაბამისად განეწყოს, ბოლომდე ერთგული დარჩეს სპორტის და უდიდეს პასუხისმგებლობასთან ერთად გულიც კაცურად დაიწვას.

შეგვწევს, შეგვიძლია, ვალდებულიც ვართ...

გივი ქირმელაშვილი.

კვლავ კალათბურთის სამსახურში



გულშემატკივართა ახლანდელმა თაობამ ალბათ არ იცის, რომ ქართული კალათბურთის გაფურჩქვნისა და აყვავების პერიოდში — ორმოციანის მიწურულსა და ორმოცდაათიანი წლების დასაწყისში, თბილისის „დინამოს“ სათავეში ედგა შესანიშნავი მწვრთნელი და აღმზრდელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი და სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი გიორგი ავალიშვილი. სწორედ მისი ხელმძღვანელობით გაიკაფა გზა გუნდმა უმაღლესი მწვერვალებისაკენ, რასაც ჩვენი ქვეყნის ჩემპიონის საპატიო სახელი ჰქვია. მართალია, დინამოელებს შემდეგში უფრო თვალსაჩინო გამარჯვებებიც ჰქონიათ, ვთქვათ, წარმატება ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებაში, რომელიც მათ 1961 წელს მოიპოვეს, მაგრამ ესეც გაგრძელება და გამოძახილი იყო იმ შესანიშნავი ტრადიციებისა, რასაც გ. ავალიშვილი ნიადაგ ნერგავდა გუნდში. პირველ რიგში ეს აღნიშნა საზეიმო შეხვედრაზე კონტინენტის პრიზის მფლობელთა კაპიტანმა გ. მინაშვილმა. მან, კერძოდ, თქვა:

— დღევანდელ დინამოელებს გულში ხინჯად გვქონდა ის, რომ ჩვენს შესანიშნავ წინამორბედებს ვერაფრით ვუბამდით მხარს და მათი მსგავსი გამარჯვებებით ვერ ვახარებდით გულშემატკივრებს. და აი, ახლა ეს წარმატებაც მოვიდა, რომელსაც ჩვენგან ელოდნენ. ჩემპიონთა თასის მოპოვება იმაზე მიგვანიშნებს, რომ მდიდარი ტრადიცია დღესაც არ დაკნინებულა და ესტაფეტა საიმედო ხელშია.

...იმხანად უნივერსიტეტის ახლოს მცხოვრები ბიჭუნებისთვის სპორტი უცხო ხილი არ ყოფილა, რადგან უმაღლეს სასწავლებელში იყო ერთი პიროვნება — გიგული მახათაძე, რომელიც ძალზე წყალობდა პატარებს და ანებივრებდა კიდეც — გადაუგდებდა ბურთს და ისინიც თავდავიწყებით დასდევდნენ მას დაღამებამდე.

ერთხელ ავალიშვილების ოჯახში, რომელიც იქვე, მარტინოვის (ახლანდელი კალანდაძის) ქუჩაზე სახლობდა, გიორგის ბიძაშვილი დინარა ყიფშიძე მივიდა და ბიჭუნას სიახლე ამცნო: — უნივერსიტეტში რაღაც ახალი თამაში შემოუღიათ და მიდი ერთი, ნახეო. ეს ამბავი გიორგის თავის ტოლ-ამხანაგებისათვის გაუნდვია და ისინიც მაშინვე მისულან სარბიელზე. მოედანზე ყოფილან ვახტანგ ციციშვილი, გრიგოლ იოსებაშვილი, ლევან ფალავანდიშვილი, შალვა ყიასაშვილი, რობერტ მდივანი, არჩილ წერეთელი. ნორჩებს ძალზე მოსწონებიათ ეს ცეცხლოვანი თამაში და მათი თხოვნით იმავე გიგული მახათაძეს შეუქმნია გუნდი — „ნორჩი უნივერსიტეტელი“, რომელშიც გიორგი ავალიშვილთან ერთად ჩაირიცხნენ ლევან დემურია, ვახტანგ მდივანი, ოთარ ავალიშვილი (გიორგის ბიძაშვილი) და სხვები. 1933 წლიდან ეს კალათბურთელები შეადგენდნენ იმ ბირთვს, რომელიც საკავშირო სარბიელზე წარმატებით იცავდა ჩვენი რესპუბლიკის სპორტულ ღირსებას.

თავად გიორგიმ მოედანზე 1950 წლამდე დაჰყო. აქედან უმეტესი წლები თბილისის „დინამოზე“ მოდის. ამ გუნდში მის თვალწინ რამდენიმე თაობამ გაიარა. მათ შორის იყვნენ მაღალი კლასის მოთამაშეები, რომლებიც ცალკეული გამარჯვებებით ამდიდრებდნენ თბილისის „დინამოს“ ბიოგრაფიას, მაგრამ გუნდის სრული აღზევება ვერა და ვერ ხერხდებოდა. აქტიური სპორტის კარიერას ყავლი რომ გაუვიდა და გიორგიმ სარბიელი მიატოვა, ყველა იმ აზრისა იყო, რომ გ. ავალიშვილი მშობლიურ „დინამოს“ უნდა ჩადგომოდა სათავეში. მან პირნათლად ზიდა მეტად რთული, წინააღმდეგობებით აღსავსე მწვრთნელის ტვირთი. მისი მწვრთნელობის დებიუტი დინამოელთა ოქროს მედლებით აღინიშნა საკავშირო ჩემპიონატში. ამ წარმატებას დაემატა ორგზის სსრ კავშირის თასის მოპოვება, შემდეგ ზედიზედ გამარჯვება ისევ საკავშირო პირველობაზე და პირველი ადგილები სხვადასხვა მასშტაბის ასპარეზობაზე თუ საერთაშორისო ტურნირებში. აღარაფერს ვამბობთ იმ, დღეს უკვე ლეგენდად ქცეულ, საბჭოთა კავშირის ხალხთა II სპარტაკიადის მატჩზე ჩვენში უძლიერეს ლატვიელთა გუნდის [illegible], რომ გაიმართა, რომელშიც ორთაბრძოლას შემორჩენილმა სამმა თბილისელმა კალათბურთელმა უფროსი მწვრთნელის გ. ავალიშვილის ხელმძღვანელობით გამარჯვებამდე მიიყვანა უაღრესად მძიმე მატჩი. მათ კი საერთაშორისო ბრძოლებში გამობრძმედილი მუიჟნიეკსის, დავიდსის, გულბისის, ოზერსის, დრაკესა და თვით გიგანტ კრუმინშის დიდ გუნდთან ჰქონდათ საქმე.

ამჟამად 70 წელს გადაცილებული ამაგდარი მწვრთნელი „ნორჩი დინამოელის“ სკოლას ხელმძღვანელობს და კვლავ ქართული კალათბურთის სამსახურში დგას. ამ საშვილიშვილო, კეთილშობილურ საქმეში იგი მთელი გატაცებით, ახალგაზრდული შემართებით იღვწის. ამასთან მთელი გულისყურით თვალს ადევნებს და ხარობს თბილისის „დინამოს“ აღორძინებითა და წარმატებებით საკავშირო სარბიელზე.

— ახალ თაობის ბრწყინვალე აწმყო ცოტად თუ ბევრად დამოკიდებულია და პირისპირ აღმართული მის წინამორბედთა მოხრილ ქედზე — ხშირად ამბობს ახლა გ. ავალიშვილი. მას ქართული კალათბურთის წინაშე მართლაც აქვს მოხრილი ქედი.

უ. ჰიჰინაძე.

სურათზე: სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი გ. ავალიშვილი.

ფეხბურთი - 83 ფეხბურთი-83 ფეხბურთი - 83 ფეხბურთი - 83 ფეხბურთი - 83

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციაში

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმმა განიხილა მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის ფეხბურთის ფედერაციების საკავშირო დათვალიერება-კონკურსის შედეგები. საგანგებოდ შემუშავებული სკალის მიხედვით ქულათა ყველაზე მეტი რაოდენობა დააგროვა უკრაინის ფედერაციამ, რომელსაც პირველი ადგილი მიეკუთვნა. პრიზიორებად დაასახელეს მოსკოვის, ლენინგრადის, ბელორუსიისა და რსფსრ-ს ფედერაციები.

ფედერაციათა კომისიებს შორის საორგანიზაციო-მასობრივ მუშაობაში პირველი ადგილი დაიკავა უკრაინის კომისიამ, ბავშვთა და მოზარდთა შორის მუშაობაში — მოსკოვის კომისიამ, სპორტტექნიკურ კომისიათა შორის — უკრაინამ, მსაჯთა კოლეგიებს შორის ბელორუსიამ, მწვრთნელთა საბჭოებს შორის — უკრაინამ.

პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ ლიტვის, მოლდავეთის, ტაჯიკეთისა და ესტონეთის ფეხბურთის ფედერაციები უპასუხისმგებლოდ მიუდგნენ დათვალიერება-კონკურსს და მონაწილეობა არ მიიღეს მასში.

ფედერაციის პრეზიდიუმმა განიხილა, აგრეთვე, პროპაგანდისტულ მასალათა დათვალიერება-კონკურსის შედეგები. I-II ადგილები გაიყვეს მოსკოვის ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის ინფორმაციის, პრესისა და რეკლამის განყოფილებამ და მოლდავეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობამ (უმაღლესი ლიგა), სიმფეროპოლის „ტავრიდის“ გამომცემლობამ (I ლიგა) და ჩრდილოეთ ოსეთის ასსრ სპორტკომიტეტმა (II ლიგა).

ფეხბურთის მატჩების პროგრამების განხრით I-II ადგილები გაიყვეს მოსკოვის „დინამოსა“ და დონეცკის „შახტიორის“ სტადიონებმა (უმაღლესი ლიგა), მოსკოვის „ლოკომოტივის“ ცენტრალურმა სტადიონმა (I ლიგა), კუიბიშევის „მეტალურგისა“ და ტოლიატის „ტორპედოს“ სტადიონებმა (II ლიგა).

* * *

იმასთან დაკავშირებით, რომ ჟენევის „სერვეტისა“ და დონეცკის „შახტიორის“ 1 ნოემბრის მატჩში ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასზე ზოგიერთი მაყურებელი უწესოდ იქცეოდა ჟენევის სტადიონზე, სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციამ პროტესტით მიმართა უეფა-ს შტაბ-ბინის სამდივნოს და შვეიცარიის ფეხბურთის ფედერაციას.

უეფა-ს სამდივნომ ჩვენს ფედერაციას შეატყობინა, რომ აღნიშნულ შეხვედრაში მაყურებელთა უდისციპლინობის ფაქტი დაადასტურა მატჩის არბიტრმაც და უეფა-ს დელეგატმაც და ამ საკითხს განიხილავს უეფა-ს სადისციპლინო კომიტეტის სხდომა. მოსალოდნელია, რომ „სერვეტს“ დააჯარიმებენ.

შვეიცარიის ფეხბურთის ფედერაციამ, თავის მხრივ, გამოგზავნა ცნობა, რომ მიუხედავად იმისა, თუ რას დაადგენს უეფა-ს სადისციპლინო კომიტეტი, თვით შვეიცარიის ფეხბურთის ეროვნული ფედერაცია პასუხს მოსთხოვს „სერვეტის“ კლუბის ხელმძღვანელობას, აგრეთვე, სტადიონის დირექციას.

სსრ კავშირისა და შვეიცარიის ფეხბურთის ფედერაციებმა რწმენა გამოთქვეს, რომ „სერვეტისა“ და „შახტიორის“ მატჩში მომხდარი ინციდენტი სინანულს იწვევს, მაგრამ იგი ვერ დაარღვევს ამ ორი ქვეყნის კლუბებსა და ფედერაციებს შორის არსებულ მეგობრულ დამოკიდებულებას.

სამტრედიელთა წარმატება

როგორც ცნობილია, II ლიგის IX ზონის ფეხბურთელები საკავშირო პირველობის გათამაშების საზაფხულო შესვენებისას იბრძოდნენ პროფკავშირების თასისთვის. წლევანდელი გათამაშების ფინალურ მატჩში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს სამტრედიის „ლოკომოტივმა“ და აბოვიანის „კოტაიკმა“.

ფინალური მატჩი გასულ შაბათს გაიმართა სოჭის სტადიონზე. თამაშის ძირითადი დრო დამთავრდა ფრედ — 1:1, სამტრედიელთაგან ბურთი გაიტანა დემეტრაშვილმა. დამატებით დროში ლოკომოტიველებმა ხელთ აიღეს ინიციატივა და წარმატებასაც მიაღწიეს. მატჩის დამთავრებას რამდენიმე წუთი აკლდა, როცა შენგელიამ გადამწყვეტი ბურთი გაიტანა მეტოქის კარში.

სამტრედიელმა ფეხბურთელებმა დამსახურებულად გაიმარჯვეს — 2:1 და საპატიო პრიზიც მოიპოვეს.

საერთაშორისო მატჩები

საბჭოთა ფეხბურთელებმა ამ დღეებში გამართეს რამდენიმე ამხანაგური საერთაშორისო შეხვედრა.

დნეპროპეტროვსკის „დნეპრმა“ მაროკოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ ტურნირში, რომელიც ქ. კასაბლანკაში მიმდინარეობდა, ფინალური მატჩი მოუგო ამ ქვეყნის ჩემპიონს „ალ-მაღრიბ ალ-ფასის“ — 1:0 (0:0) და საპატიო პრიზს დაეუფლა.

მოსკოვის „ტორპედომ“, რომელიც ტურნეს განაგრძობს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, ქ. ლევერკუზენში დაამარცხა ადგილობრივი „ბაიერი“ — 2:1 (0:1).

ვიეტნამში სტუმრად იმყოფება ვილნიუსის „ჟალგირისი“. ვილნიუსელებმა ანგარიშით 6:1 დაამარცხეს ფუკხანის პროვინციის ნაკრები.

ევროპის ჩემპიონატი

VI ჯგუფი

20 ნოემბერს გაიმართა ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის ბოლო შესარჩევი მატჩი VI ჯგუფში. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფეხბურთელებმა თავიანთ მინდორზე მიიღეს ალბანეთის ნაკრები.

დასავლეთ გერმანიის გუნდი გამარჯვების შემთხვევაში ფინალის საგზურს ინაღდებდა, ვინაიდან დაგროვილი ქულებით უტოლდებოდა ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრებს, მაგრამ გატანილი და მიღებული ბურთების სხვაობით საგრძნობლად უსწრებდა მას. გფრ-ის ფეხბურთელებმა დასახული ამოცანა შეასრულეს და გაიმარჯვეს, მაგრამ აუტსაიდერმა, ალბანეთის ნაკრებმა, თავგამოდებით იბრძოლა და მასპინძლებმა გამარჯვებას მხოლოდ მინიმალური სხვაობით მიაღწიეს — 2:1.

გათამაშების საბოლოო ცხრილი VI ჯგუფში ასეთია:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
გფრ	8	5	1	2	15—5	11
ჩრ. ირლანდია	8	5	1	2	8—5	11
ავსტრია	8	4	1	3	15—10	9
თურქეთი	8	3	1	4	8—16	7
ალბანეთი	8	0	2	6	4—14	2

ამრიგად, ევროპის ჩემპიონატის 5 მონაწილე ცნობილია: საფრანგეთი (გათამაშების ორგანიზატორი), ბელგია, პორტუგალია, დანია, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა.

საქართველოს ჩემპიონატი

მახარაძე. გრძელდება საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატის ფინალური გათამაშება 6 გუნდის მონაწილეობით.

II ტურში წყალტუბოს „სამგურალმა“ ანგარიშით 4:0 დაამარცხა ლაგოდეხის „ჰერეთი“, ხოლო ვანის „სულორმა“ — ზუგდიდის „დინამო“ — 2:1. ფრედ ითამაშეს რუსთავის „მეტალურგმა“ და თელავის „კახეთმა“ — 0:0.

ტურნირში დაწინაურდნენ „სამგურალი“ და „სულორი“, რომლებსაც 3-3 ქულა აქვთ.

„გუნდთან ერთად“

საკავშირო პროფკავშირების ნებაყოფლობით სპორტსაზოგადოებათა საფეხბურთო პრიზი **„გუნდთან ერთად“** წლეულს მოიპოვა დონეცკის „შახტიორის“ კოლექტივმა.

დონეცკის „შახტიორის“ სტადიონის მუშაკები საგანგებო ყურადღებით ეკიდებიან საფეხბურთო მატჩებისთვის მზადებას, შესანიშნავად უვლიან სათამაშო მინდორს, გამოსცემენ საინტერესო პროგრამებს, მართავენ შინაარსიან სანახაობებსა და აქტიურად იბრძვიან წესრიგის დასამყარებლად.

„შახტიორის“ გულშემატკივრები, დონეცკელი მაყურებლები მაღალ ორგანიზებულობას იჩენენ, თავაზიანად ეპყრობიან სტუმრად ჩამოსულ გუნდებს. „შახტიორი“ პირველ ადგილზეა მაყურებელთა დასწრების მხრივაც, აქ ყოველ მატჩზე საშუალოდ მოდის 31.192 მაყურებელი.

აღსანიშნავია, რომ ყველა ამ მაჩვენებლით დონეცკის „შახტიორი“ შარშანაც პირველ ადგილზე იმყოფებოდა.

რეპლიკა

საპატიო პრიზი... ჩანთაში

დამთავრდა თბილისის თასის გათამაშება ფეხბურთში. ფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ „შევარდენი“ და „ავტომობილისტი“.

ფინალური თამაში გაიმართა ოქროყანის სპორტული ბაზის საფეხბურთო მინდორზე. ორივე მხარემ ითამაშა მთელი ენერგიით, შემართებით. დაძაბული ბრძოლის შემდეგ დამსახურებული გამარჯვება მოიპოვა „შევარდენმა“ — 2:0.

მიუხედავად ნაწვიმარი, ტალახიანი მინდვრისა, ორთაბრძოლა საინტერესოდ ჩატარდა, ვერც მსაჯობას დავემდურებით, მაგრამ სასაყვედურო მაინც გვაქვს.

თასის გათამაშება თბილისის საფეხბურთო ცხოვრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენაა, მას მუდამ ყურადღებით ეკიდებიან მონაწილეებიც და მაყურებლებიც, მაგრამ სავალალო ისაა, რომ ამჯერად არავის უზრუნია ან აფიშებით, ან გაზეთის მეშვეობით გამოეცხადებინა ფინალური მატჩის დღე და დაწყების დრო, ამას გარდა, თვით თამაშს არ ესწრებოდნენ ჩამტარებელი ორგანიზაციის ოფიციალური პირები ე. ი. ქალაქის სპორტკომიტეტის ფეხბურთის განყოფილების წარმომადგენლები. საპატიო პრიზი სახელდახელოდ გამოატანეს მსაჯს, რომელმაც იგი ჩანთით ამოიტანა სტადიონზე და თამაშის დამთავრების შემდეგ ყოველგვარი საზეიმო ცერემონიალის გარეშე ჩააბარა გამარჯვებულ გუნდს.

ვფიქრობთ, დედაქალაქის საფეხბურთო თასის ფინალური მატჩი და თვით საპატიო პრიზიც მეტ ყურადღებას იმსახურებს.

ა. ლორია.

ფეხბურთი - 83 ფეხბურთი - 83 ფეხბურთი - 83 ფეხბურთი - 83 ფეხბურთი - 83

საბჭოთა ალპინიზმის 60 წლისთავისადმი

მოვლენათა ქრონიკა

1963-1973 წლები

დასასრული

ნაეი, რომ გახშირდა როგორც უცხოელი მთამსვლელების სტუმრობა სსრ კავშირის მთებში, ისე საბჭოთა ალპინისტების ასვლები სხვადასხვა ქვეყნის მწვერვალებზე. სიტყვამ მოიტანა და უნდა ითქვას, რომ ასვლებს საზღვარგარეთის მწვერვალებზე საფუძველი ჩაეყარა ჯერ კიდევ დიდი სამამულო ომის დროს, როცა 1944 წლის ივნისში ქართველმა მთამსვლელებმა ა. ივანიშვილმა, ქ. ასტახიშვილმა და სხვებმა ირანში დალაშქრეს მწვერვალი დამავენდი (5.671 მეტრი ზღვის დონიდან).

1964 წელს საქართველოს მთამსვლელთა გუნდი, რომლის შემადგენლობაში იყვნენ: ო. გიგინეიშვილი, ო. ბერაძე, მ. ბერძენიშვილი, დ. დანგაძე, შ. მირიანაშვილი, ნ. ნადირაშვილი, ს. ხაბეიშვილი, ოთარ და რევაზ ხაზარაძეები, დიდი ხანგამოშვების შემდეგ პირველად გადის უცხოეთის მთებში. ისინი სავოის ალპებში ადიან ევროპის ერთ-ერთ უმაღლეს მწვერვალ მონბლანზე, აპენინის ალპებში ლაშქრავენ მონტეროზას, ბოლოს კი წარმატებით ასრულებენ ტრიენის ალპების მწვერვალთა ტრავერსს.

1966 წელს ა. აბაშიძე, ლ. ახვლედიანი, ო. ბერაძე, ო. გიგინეიშვილი, დ. დანგაძე, შ. მირიანაშვილი, გ. ქართველიშვილი, ს. ხაბეიშვილი, ოთარ და რევაზ ხაზარაძეები იაპონიაში ადიან ფუძიამასა და ჰოდაკაზე.

უცხოეთის მთებში, ბუნებრივია, სხვა რესპუბლიკებისა და საბჭოთა ნაკრები გუნდის წევრებიც გადიან. 1963 წელს იუგოსლავიაში ჩავიდნენ უკრაინელი მთამსვლელები. ვ. ლივშიცი და ვ. კოზიავკინი სამთავაზე „სლავური მიმართულებით" ავიდნენ, ხოლო შემდეგ მათ ვ. მოსკალცოვი დაემატათ და მწვერვალზე ახლა „გერმანული მიმართულებით" ავიდნენ.

იმავე წელს საბჭოთა მთამსვლელები, უფროსი მ. ხერგიანი და ვ. კოვუნენკო ბულგარეთში, ქალაქ ვრაცის მახლობლად ალმართულ ურთულეს კლდეებზე სამი მარშრუტით („ბეზენგი", „მე-2 კონგრესი" და „ვინკლი") ავიდნენ.

მეხუთე ათწლეულში სსრ კავშირის მთამსვლელებმა უცხოეთში დალაშქრეს ბევრი ისეთი მწვერვალი, რომელთა სირთულე საბჭოთა კლასიფიკაციით ურთულესი — მე-6 კატეგორიისა იყო. ასეთ მწვერვალთა შორის იყო ალპებში ბონატისა და მანიონის მარშრუტებით პტიდრიუზე ასვლა, ვალკერის თხემით გრან ჟორასის დაპყრობა, ლაშქრობა გრან კაპუცინზე, ვალგრანდეს კოშკებზე...

განსაკუთრებით საინტერესო იყო გრან ჟორასზე უფროსი მ. ხერგიანისა და ვ. ონიშჩენკოს ასვლა.

ჩვენმა მთამსვლელებმა ვალკერის თხემით წარმატებით დალაშქრეს გრან ჟორასი, მათ მიერ გავლილ გზას კი „რუსული ვარიანტი" უწოდეს.

ხერგიანმა და ონიშჩენკომ 1969 წელს იტალიაში, დოლომიტოს მთებში, სუ ალტოს პიკს შეუტიეს, სამწუხაროდ, ეს ლაშქრობა მიხეილ ხერგიანისთვის ტრაგიკული აღმოჩნდა.

თავის მხრივ, უცხოელებმა, მათ შორის იტალიის, იაპონიის, ავსტრიის, საფრანგეთის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და სხვა ქვეყნების წარმომადგენლებმა სსრ კავშირის მთებში. მრავალი მწვერვალი დალაშქრეს. განსაკუთრებით საინტერესო იყო 1972 წელს გამართული საერთაშორისო ალპინიადა ჩვენი ქვეყნის უმაღლეს მწვერვალ კომუნიზმის პიკზე.

ალპინიადაში, რომელიც სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს მიეძღვნა, მონაწილეობდნენ ყველა მოკავშირე რესპუბლიკისა და 8 სოციალისტური სახელმწიფოს მთამსვლელები. მწვერვალზე 87 კაცი ავიდა.

საბჭოთა და უცხოელ მთამსვლელთა დელეგაციების ასეთმა გაცვლებმა თუ ერთობლივმა ასვლებმა ხელი შეუწყო ორივე მხარის გამოცდილების გაზრდას.

ბუნებრივია, ამ წლებში მომწიფდა საკითხი, რომ სსრ კავშირის მთამსვლელები შესულიყვნენ ალპინისტთა ასოციაციების საერთაშორისო კავშირში (უიაა). ამ მიზნით მთამსვლელთა საკავშირო ფედერაციამ საერთაშორისო კავშირში განცხადება შეიტანა. 1966 წელს კურმაიერში (იტალია) გამართულ უიაას გენერალურ ასამბლეაზე სსრ კავშირის მთამსვლელთა ფედერაციის თხოვნა კავშირის წევრად მიღების შესახებ დააკმაყოფილეს.

1964 წელს უფროსი მიხეილ ხერგიანის ჯგუფმა, რომლის შემადგენლობაშიც იყვნენ: ჯ. გუგავა, შ. მარგიანი, ჯ. კახიანი, უმცროსი მიხეილ ხერგიანი და გივი წერედიანი, უშბაზე მიიტანა იერიში.

მათ წინ ჩრდილოეთ უშბის ჩრდილოეთი კედელი იყო აღმართული. განსაკუთრებით რთული მონაკვეთი იყო 600-მეტრიანი პირქუში ბასტიონი. მისი ზედაპირი იმდენად გლუვი იყო, რომ „უშბის სარკედ" მონათლეს. მთამსვლელები სარკეს ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრიდან შეეჭიდნენ. გზად იშვიათად ხვდებოდათ „თაროები", ხელის ჩასაჭიდი, ნაპრალები... და მაინც, მთამსვლელებმა მიზანს მიაღწიეს და ტექნიკურად რთული ასვლების კლასში ჩემპიონთა ოქროს მედლები დაიმსახურეს.

იმავე წელს და იმავე კლასში ოქროს მედლებით დააჯილდოვეს სპარტაკელთა ჯგუფიც, რომელიც ა. კუსტოვსკის მეთაურობით პამირში ჩრდილო-აღმოსავლეთის კედლით ენგელსის პიკზე ავიდა.

მომდევნო, 1965 წელი ისეთივე ნაყოფიერი აღმოჩნდა ჩვენი მთამსვლელებისათვის, როგორიც მათ საუკეთესო წლებში იყო. ტრავერსების კლასში ჩემპიონი გახდა ქუთაისელთა გუნდი, რომლის შემადგენლობაში იყვნენ: მ. ხერგიანი (უმცროსი), ვ. გაბელაშვილი, ჯ. გუგავა, ჯ. კახიანი და გ. წერედიანი. მათ აილამიდან მისისთაუმდე 21 დღეში 21 მწვერვალზე გადაიარეს.



ტექნიკურად რთული ასვლების კლასში ბრინჯაოს მედლები გადაეცათ საქართველოს ალპიური კლუბის წევრებს: დ. დანგაძეს, ლ. ღლონტს და ვ. თევდორაშვილს, რომლებიც შ. მირიანაშვილის მეთაურობით ზილმაზე სამხრეთის კედლით ავიდნენ.

სასიმაღლო ტექნიკური ასვლების კლასში მე-3 ადგილი დაიკავეს სპორტსაზოგადოება „განთიადის" წევრებმა ნ. ბაქრაძემ, თ. ბაქანიძემ, თ. ბერიშვილმა და დ. შარაშენიძემ, რომლებიც გ. ქართველიშვილის ხელმძღვანელობით ჯანღითაუზე სამხრეთის კედლით ავიდნენ.

1969 წელს ა. აბაშიძე, დ. დანგაძე და ო. ხაზარაძე, შ. მირიანაშვილის ხელმძღვანელობით ცენტრალურ შხარაზე სამხრეთის კედლით ავიდნენ. და ტექნიკურ კლასში მე-3 ადგილი დაიკავეს.

რამდენიმე ქართველმა ალპინისტმა სხვათა გუნდების შემადგენლობაში სცადა ძალა და ორმა მათგანმა ოქროს მედლები დაიმსახურა. 1966 წელს ყაბარდო-ბალყარეთის გუნდი იოსებ კახიანის მეთაურობით პამირში ტაჯიკეთის პიკზე აღმოსავლეთის კედლით ავიდა და სსრ კავშირის ჩემპიონი გახდა.

1972 წელს შეიარაღებული ძალების გუნდში იყო ახალგაზრდა ქუთაისელი გიორგი ახვლედიანი. გუნდმა პამირში კომუნისტური აკადემიის პიკების ტრავერსი განახორციელა და ჩემპიონი გახდა.

1972 წელს ნოვოსიბირსკელთა გუნდის შემადგენლობაში იყო ქუთაისელი მურად ჰეჰინაძე. გუნდი უკრაინის კომკავშირის 40 წლისთავის სახელობის პიკზე სამხრეთის კედლით ავიდა და მე-3 ადგილი დაიკავა.

დასასრულს უნდა აღინიშნოს ერთი საინტერესო ფაქტი: 1972 წელს კორჟენევსკაიას პიკზე (7105 მ) ავიდა სსრ კავშირის ქალთა ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც იყვნენ გ. როჟალსკაია (ხელმძღვანელი), ე. შატაევა (მწვრთნელი), ი. მუხამედოვა და ა. სონი. ეს ასვლა იმითაა საყურადღებო, რომ ამ ლაშქრობამდე ასეთ სიმაღლეზე მამაკაცების დაუხმარებლად ქალები არ ასულან.

ა. გურასაშვილი.

(საქინფორმი).

საპატიო პრიზისათვის

9-11 დეკემბერს მოსკოვის აუზ „ოლიმპიურში" ადგილობრივი სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური სპორტული კლუბი, „დინამო", სახელმწიფო უნივერსიტეტისა და კიევის „დინამო" გაითამაშებენ სსრ კავშირის თასს წყალბურთში.

ეს ცნობილი გახდა მას შემდეგ, რაც მოსკოვსა და ალმა-ათაში გაიმართა წინასწარი ჯგუფური ტურნირები.

თასის წლევანდელი გათამაშების მოულოდნელობა გახლავთ ალმა-ათის დინამოელთა წარუმატებლობა. ისინი ჯგუფში III ადგილზე გავიდნენ.

(საქდესი).

● **წყალბურთი**

დაუმარცხებლად...

საქართველოს სპორტკომიტეტის ზამთრის საცურაო აუზში დამთავრდა თბილისის პირველობა წყალბურთში 1968-1969 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა გუნდებს შორის. ასპარეზობაში მონაწილეობდნენ განათლების სამმართველოსა და „დინამოს" (2-2 გუნდი) კოლექტივები, აგრეთვე „განთიადისა" და რუსთავის „ფოლადის" წარმომადგენლები.

ტურნირი დაუმარცხებლად, ქულათა მაქსიმუმით (10 ქულა, ბურთების სხვაობა 85-9) დაამთავრეს „დინამო" I (მწვრთნელები თ. ივანიშვილი, თ. ლორთქიფანიძე, ვ. ბიბილური), წყალბურთელებმა.

აღსანიშნავია, რომ პირველი ადგილის ბედი ტრადიციული მეტოქეების „დინამოსა" და განათლების სამმართველოს პირველი გუნდების შეხვედრაში გადაწყდა. დინამოელებმა ანგარიშით 5:2 სძლიეს მეტოქეს.

უნდა ითქვას ისიც, რომ დინამოელთათვის აღნიშნული პირველობა ერთ-ერთი მოსამზადებელი ეტაპი იყო „დინამოს" საკავშირო სპარტაკიადისთვის, რომელიც „ნორჩი დინამოელის" დაარსების 50 წლის იუბილეს მიეძღვნება და გაისად გაიმართება ლვოვში.

გ. დოლენჯაშვილი.

ნოემბრის მარათონი

ტოკიო. ქალთა ტრადიციულ მარათონში მეექვსე ადგილზე გავიდა მძლეოსანთა პირველი მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალოსანი მინსკელი რაისა სმეხნოვა. მისი დრო 2:40.05. გამარჯვება კი 27 წლის იაპონელმა ნ. სასაკიმ 2:37.09 მოიპოვა.

მეორე ადგილზეა ირლანდიელი რ. ჯოისი — 2:37.44, მესამეზე — იაპონელი მ. ტანაკა — 2:38.46.

სულ მარათონში მონაწილეობდა 9 ქვეყნის 67 სპორტსმენი.

(საქდესი).

● **ფრენბურთი**

თასები მოიპოვეს

მოსკოვში დამთავრდა ფრენბურთელ ქალთა და ვაჟთა გუნდების საკავშირო თასის ფინალური შეჯიბრება. ქალთა შორის თასი მოიპოვა ოდესის სამედიცინო ინსტიტუტის გუნდმა, რომელმაც ფინალში დაამარცხა ალმა-ათის სახლმშენებელი კომბინატის კოლექტივი. მესამე ადგილზე გავიდნენ მოსკოვის „დინამოს" ფრენბურთელები. ვაჟთა შორის ვადამდე გაიმარჯვეს ლენინგრადის „ავტომობილისტის" ფრენბურთელებმა. მეორე ადგილზე გავიდა რიგის „რადიოტექნიკი", მესამეზე — კიევის „ლოკომოტივი".



ეტიუდი...

საქდესის ფოტოქრონიკა.

„გრან პრის" პრეტენდენტები

ჩოგბურთის პოპულარული პრიზ „გრან პრის" პრეტენდენტების სია დღეისათვის ასეთია: ლენდლი (ჩეხოსლოვაკია) — 2274 ქულა (12 ტურნირი), ვილანდერი (შვეცია) — 2226 (16), კონორსი (აშშ) — 2060 (13), მაკინროი (აშშ) — 1800 (9), ნოა (საფრანგეთი) — 1682 (10), არიასი (აშშ) — 1686 (16), იგუერასი (ესპანეთი) — 1333 (14), კლერკი (არგენტინა) — 1125 (12), გომესი (ესპანეთი) — 988 (16) და ა. შ.

სხვათა შორის

საინტერესო მატჩი

ყოველი ახალი საკალათბურთო სეზონის წინ იტალიაში „სკუადრა აძურასა" და იტალიაში მოთამაშე უცხოელ ვარსკვლავთა ნაკრებს შორის საინტერესო მატჩი იმართება. შეგახსენებთ, რომ წინა წლებში ყოველთვის ვარსკვლავების ნაკრები იმარჯვებდა.

ამჯერად მოხდა ისე, რომ იტალიის ნაკრებმა დაამარცხა ძლიერი მეტოქე ანგარიშით 114:105 (56:53). „სკუადრა აძურას" შემადგენლობა ასეთი იყო: კალიერისი (3 ქულა), ტონუტი (2), ბონამიკო (12), ჟირარდი (4), კოსტა (14), ბრუნამონტი (2), ვილალტა (10), მენეგინი (10), რივა (14), ვეჩიატო (17), მარზორატი (8), საკეტი (18).

რედაქტორი ა. ბასილაია.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო" ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47, 93-97-59; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71 93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, 380096, თბილისი — 96, ლენინის ქ. № 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, სოფარაულის. 29. ИНДЕКС 66435 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 ეპ — 07952